ხელნაწერი: ... (H-757), 1671 წ.

მინაწერები

268v–269v

ქ. სამებით სრულსა და განუყოფელსა რომელმან შექმნნა ყოველი სულნი და უხილავნი ჴელმწიფობითა ძლიერებისა თუისისათა რომელმან ყოველნივე არა რასაგან არსებად მიიყუანნა და ჰმართებს განაგებს ყოველთავე წამის ყოფითა თუისითა რომელსა შიშით ჰმსახურებენ უსხეულოთა იგი წესთა მთავრობანი და დაიფარვენ ფრთებით პირთა მათთა და განცდად დიდებით მისისა ვერ შემძლებელ არიან არამედ ღაღადებდეს მოყუასნი მოყუასისა მიმართ და იტყუის ვითარმედ წმინდა არს წმიდა არს წმინდა არს უფალი საბაოთ ხოლო ოდეს ითქუას სამგზის წმინდა არსი ჩანს ჭეშმარიტად რომელ სამება იდიდების განცხადებულად ხოლო ჩვენცა მიწიერნი ესე მიმსგავსებულობდეთ ზეცისათა მათ და რაოდენ შეჰგუანდეს მიწიერსა და მოკუდავსა ამას და სიზმრებ წარმავალსა და აჩრდილებრ განქარვებასა არსებასა ჩუენსა მათ თანავე ვიტყოდით დიდება მამასა დიდება ძესა და დიდება სულსა ყოვლად წმინდასა ერთსა ღმერთსა განუყოფელსა და განუწვალებელსა რომელსა ჰშვენის ყოველი დიდება პატივი და თაყუანის ცემა მამისა და ძისა და წმინდისა სულისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ

ქ. შენცა უწყოდი უფალნო ჩემნო რომ ჟამსა ოდეს ამ ვეფხისტყაოსანსა ვსწერდი მე აღმურანთ ბაღდასარას შვილმა მუშრიბი გასპარსმა მაშინ ღ˜თნ წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი და ვით ენკენისთვის კ˜გ ქ˜კს ტნთ შაბათს კვირაძალს და მაშინვე თქუი მისთუის ეს ვეფხისტყაოსანი აწე ამას გეხვეწებით და გეაჯებით ყოველსა ამ წიგნის წამკითხავსა ვინ გინდ იყუნეთ ადამის ნათესავი ჩემს შვილს ნურვინ გამოართომთ ამ წიგნს ჩემი იადგარი არს

ქ.შენ ძეო ღმთისაო პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილო ერთო სამებისაგანო ჭეშმარიტო ღ˜თ მამისაგან გამოსულო ემმანოილ ღ˜თო და კაცო რომელი ახსახსრულსა ჟამთასა განზრახვითა მამისათა და ნებითა სულისა ცხოველისათა გარდამოჴედ ზეცით ქუეყანად და თბე შემოსილ იქმენ იშევ ქალწულისა მარიამისაგან და ყოველი წესი კაცობრივი აღასრულე თუინიერ ხოლო ცოდვისა გარნა ყოველივე ცოდვათა ჩემთა აჰჴოცისათჳს ჯუარს ეცუ დაიკალ და აღსდეგ მესამესა დღესა და ამაღლდი ზეცად და დაჯედ მარჯვენით ღ˜თისა და კუალად მომავალ ხარ განსჯად ცხოველთა და მკუდართა შენ უკუვე მეუფეო ყოვლად ძლიერო იესო ქრისტე მფარველ ექმენ ორსავე ცხორებასა ძესა ჩემსა და კეთილად განაგე ყოველი ცხორება მისი და წარმატებულ ყავ ყოველთა შორის მოსავთა მისთა და ნურაოდეს განეშორება ცხორებასა შინა მისსა ფარვასა შენსა და ძლიერებს პატიოსნისა ჯუარისა შენისასა და დღე და ღამე სცვედ და ჰფარვედ ჰმართებდ და განაგებდ ნუგეშინის ეც და ჴელი აღუპყარ და განმსჭუალე შიშსა შინა შენსა და შემუსრენ ყოველნი მავნი და წინა აღმუდგომნი მისნი და სუე სრულ ყავ და ეტლ კეთილ და სამოთხისა მკუიდრად გამოაჩინე და სახელი მისა აღწერილ ყავ წიგნსა მას ცხოველთასა რ˜ შენდა შვენის ყოველი დიდება პატივი და თაყუანის ცემა მამისა და ძისა წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამის და კირიალიესონ ეს წიგნი არის რვეული ლ˜დ და ფურცელი ს˜ო

255v

მინაწერი რომელიც არაა შესრულებული ტექსტის ხელით : ,, ამას ქუეით სულ ნანუჩასი არის და შოთაჲსიცა ცოტა რამ

გადამწერის სტროფები:
267v

ბრძანებით შემოქმედისა რა ჴელვჰყავ ესე წერითა
ჴელნი დამიშრო კალამმან თვალნი გაშტერდეს მზერითა
ჴელსა მკითხველი შეატყობს სიმართლით სხუა ვერითა
აწ გაგიჩნდების მხატვარო შემკობა შესაფერითა

მწერლებსა ვჰკადრებ მამისმინონ რომ არ იყვნენ ჩემზე ზრახვით
აწ დაწერონ უკეთესი ანუ ამის რამე სახვით
სიმართლეს და სიტყუის წყობას ვინ მიხვდება ერთის ნახვით
მკითხველნი და მართლად მსმენნი არ არიან სევდა ახვით

ჰე ღმერთო ერთო რომელსა გიჴმობენ მჯდომსა ხოლოდო
შენ შეჰქმენ ყოვლი იძურისი გაჰჴადე ასათროლადო
რაზომცა მოეც სიდიდე არვის გაჰყუების ბოლოდო
ვინც უარგყო ეშმაკმა გაჰჴადა ჩასაქოლადო

268r

ბრძენთა და ფილასოფოსთა ღ˜თად გიცნეს მეტად დიდებით
გაქებენ ჴმითა ტკბილითა დგან მოწიწებით რიდობით
ანგელოზთანა ერთობენ ეშმაკთა გარდაკიდებით
სიმართლის გზასა მიდიან ამად შეიქნენ მშვიდებით

მოციქულთ პირი სიმართლით მოიწყეს მბობად ამისად
სამებით იცნეს უფალი მიმართეს თუალის წამისად
ჯოჯოხეთს იწყეს რიდება არ გაჴდენ ჩანათქამისად
სამოთხე მიხუდათ სამყობი ნათობენ დღე და ღამისად

გიძრწის და გმონებს ყოველი ჴელით შექმნილნი შენ ანი
ცა მიწა ზღუა და ნიანგი წამის ხანს ურწყევ შენ ანი
საკურველობით მორთული სენგან გუაც დია შენანი
ვინცა უარგო მიეცეს მას გაუწყუეტლად შენანი

ნუ მეჭვ რომ ვიყო მე ჩემთა სიბრძნისა იმედეულად
ანუ ვთქვა უღთოდ ვიქ რასმე რომ თვით არ იყოს რეულად
გუშინ მოსულვარ ამ სოფელს ერთი ღარიბი ეულად

დღეს გავლით ცრემლით მტირალი საყელო გარდახეულად

268v

ვთქუა ღმერთი გულისთქმა ჩუენი არ დაგემალების
აშიყ ეშიყი გუაქვს მაშიყთა საჭვირს ღაწენი ფერად ლალების
გვახარებს გვალხენს შვენება ჩუენ მათი ჯავარ წყალების
ჩუენ რომ შენგან გვჭირს წყალობა შენ ჩუენგან რა გევალების

270v

დაწერილია 1671 წელს
თქუა ყვავი ვარდთა რას აქნევთ ანუ რა მისი ფერია
მაგრამ მას ზ˜ა ბულბულსა ჯერ ტკბილად არ უმღერია
უშმაგური საქმე ყულაი მოკლე ამით ოხერია
რა მითქვამს რა მომიჩმახავს რა წიგნი მომიწერია

271r

ვეზირი გაწბილებული დაღონდა გულში ესე თქვა ნეტარ შევფიცი რისთვის წიგნი მივეც ფიცისა ცუდისა

ხელნაწერის ბოლო ფურცელზე

ისინი ორნივ დახოცეს ჩვენ დავრჩით იყო ველია
შუბებს ხელი ვამაგრეთ მოგგონდა საქმე ქველია
ჯიღოსანთ კაცთა უტყივეთ წინ იყვნენ არ ჰყავთ მშველია
ზაზასი მიკვირს იმ დღესა რისა საქმისა მქნელია
ფაშები იყვნენ რომ ვხოცეთ გარდახდა მოსჭრიათ
სისხლით შეღება დოლბანდი კაბა მწვანე თუ შავია
მათ მიგვიტანეს რაზმითა ჩვენ ზედა რა ჰქონდა ზავია
წვერით კბილს თავმოიცა ცხენსა მოაჯტა ჰაია